



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ტვინინგის პროექტი - განახლებადი ენერგიის რეგულირება საქართველოში
ტვინინგის კონტრაქტის ნომერი: ENI/2020/415-426

პრეს-რელიზი

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი სახელწოდებით განახლება-დი ენერგიის რეგულირება საქართველოში დაიწყო 2021 წლის 1 თებერვალს. პროექტის განხორციელების პერიოდის ხანგრძლივობაა 30 თვე.

პროექტი ხორციელდება ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი უწყების (E-Control) მიერ, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის დარგებისათვის გერმანიის ფედერალური ქსელის სააგენტოსთან (BNetzA) თანამშრომლობით. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარია საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი).

ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა თანამშრომლობენ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული სააგენტოს დამოუკიდებლობის და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების კუთხით მისი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. აღნიშნულმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტური ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს ბაზრის ინტეგრაცია და თანდათანობით დაუახლოვოს რეგულირების ძირითადი ელემენტები ევროკავშირის კანონმდებლობას, ასევე ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობას, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას, გააუმჯობესოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საიმედოობა და მომსახურების სტანდარტების ხარისხი.

საჯარო სამსახურების დაძმობილების ამ პროექტის მიზანია მხარდაჭერის გაწევა აღნიშნული მიზნების მიღწევის პროცესისათვის, საქართველოს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების სფეროში არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზით.



Bundesnetzagentur



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ტვინინგის პროექტი - განახლებადი ენერგიის რეგულირება საქართველოში
ტვინინგის კონტრაქტის ნომერი: ENI/2020/415-426

პროექტის საქმიანობის აღნიშნული ძირითადი მიმართულებების საფუძველზე განისაზღვრა პროექტის შემდეგი მოსალოდნელი შედეგები: პირველ რიგში, ეს არის საფუძვლის შექმნა არსებული სატარიფო სისტემის რეფორმირებისათვის, რომელიც მნიშვნელოვანია სისტემის ქსელის შესაბამისი ტარიფების დასადგენად (გადაცემის სისტემის ოპერატორები და განაწილების სისტემის ოპერატორები), რათა დაიფაროს ქსელის ხარჯები, სისტემის სტაბილურობის ხარჯების ჩათვლით.

მეორე მოსალოდნელი შედეგი გახლავთ გარემოს შექმნა მოთხოვნაზე რეაგირებისა და მომხმარებელთა აქტიური მონაწილეობისათვის როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზრებზე, რაც მოიცავს მოთხოვნაზე რეაგირების პროცესში არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრას და წამახალისებელი სქემების შექმნას მიმწოდებლებისა და მომხმარებლებისათვის, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა მოთხოვნაზე რეაგირების პროცესში, ეროვნულ დონეზე არსებული გარემოებების შესაბამისად.

მესამე მოსალოდნელი შედეგი გულისხმობს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავებას და დაინტერესებულ მონაწილე მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერებას, ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულების თანახმად, ევროკავშირის სტანდარტებზე დამყარებული მოთხოვნების განსაზღვრის, ასევე განახლებადი ენერგიის ინტეგრირების ხელშეწყობისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების პროცესებში ეროვნული მარეგულირებელი უწყებების როლის გაძლიერების თვალსაზრისით.

“ევროკავშირი სიამაყით უჭერს მხარს ტვინინგის ახალ პროექტს, რომელიც, ევროკავშირის გამოცდილებისა და სტანდარტების საფუძველზე, დახმარებას უწევს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ენერგეტიკის ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესების პროცესში. ჩვენი წარმატებული, გრძელვადიანი თანამშრომლობის გათვალისწინებით, ავსტრიელი, გერმანელი და სხვა ევროპელი ექსპერტები იმუშავებენ თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად, კერძოდ განახლებადი ენერგიისა და ენერგო-ეფექტურობის ხელშეწყობის





ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ტვინინგის პროექტი - განახლებადი ენერგიის რეგულირება საქართველოში
ტვინინგის კონტრაქტის ნომერი: ENI/2020/415-426

მიმართულებით, რათა მოხდეს ქართველი მომხმარებლისთვის შედარებით სუფთა და კონკურენტული ფასის მქონე ენერგიის მიწოდება.” – ქ-ნი სიგრიდ ბრეთელი, საქართველოში ევრო-კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების უფროსი.

პროექტის გახსნის ცერემონია დისტანციურად გაიმართა 2021 წლის 8 სექტემბერს და მისი მიზანი იყო როგორც ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება პროექტის დაწყების, მისი ამოცანებისა და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ, ასევე საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე რეფორმების მიმოხილვა.

საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს მთავრობის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უწყებების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორის, ბიზნეს წრეების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა მონაწილემ ხარეებმა ხაზი გაუსვეს ენერგეტიკულ სექტორში არსებულ საჭიროებებს და ისაუბრეს ენერგოსექტორის რეფორმის არსებული სტატუსის, ასევე შესაბამისი გამოწვევებისა და პროგრესის შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

თამრიკო მიქაძე

პრესისა და ინფორმაციის ოფიცერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

ელ-ფოსტა: tamriko.mikadze@eeas.europa.eu

მარიამ ჭუმბაძე

მუდმივი უცხოელი მრჩეველის თანაშემწე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი - განახლებადი ენერგიის რეგულირება საქართველოში.

ელ-ფოსტა: mariam.chumbadze@e-control.at

